ინფორმაციული ომი: საკომუნიკაციო სტრატეგიების ანალიზი რუსეთ-უკრაინის ომში

ინგა გაბაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე გურული

პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ინგა გაბაძე

თბილისი: 2024

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ინფორმაციულ ომს: საკომუნიკაციო სტრატეგიების ანალიზს რუსეთ-უკრაინის ომში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულების შესწავლა რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობის შესახებ. საკვლევი თემის ირგვლივ, მონაცემთა შესაგროვებლად და საკითხის სიღრმისეულად შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია რელევანტური სამეცნიერო წყაროები, ლიტერატურული ანალიზი.

კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ - ფოკუს ჯგუფები. კვლევაში მონაწილე პირები შერჩეულ იქნა მიზნობრივი შერჩევით, კერძოდ, ქალაქ თბილისში მცხოვრები 60 წელს გადაცილებული ქალბატონები და მამაკაცები. ასევე, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები: ყველა გამოკითხული რესპონდენტი ინფორმირებულია რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ, ასევე ყველა მათგანს აქვს ინფორმაცია იმ საინფორმაციო საშუალებების შესახებ, სადაც შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ ახალი ინფორმაცია რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ. კვლევის შედეგების მიხედვით, 60 წელს გადაცილებული რესპონდენტები, როგორც ქალები, ისე მამაკაცები, მთავარ საინფორმაციო საშუალებად ასახელებენ ტელევიზიას, ძირითადად ქართულ მედია საშუალებებს. თუმცა უმრავლეს მათგანს ასევე აქვს წვდომა სოციალურ ქსელებთან, კერძოდ facebook-თან, სადაც ტელევიზიის პარალელურად ეცნობიან ახალ ამბებს. საინტერესო მიგნება გამოვლინდა 60 წელს გადაცილებული მამაკაცების გამოკითხვისას, ზოგიერთი მათგანი, საინფორმაციო საშუალებად იყენებს ბეჭდურ მედიას. რაც შეეხება გამოკითხულ სტუდენტებს, მათი სრული უმრავლესობა ინფორმაციის მიღების მიზნით იყენებს სოციალურ ქსელებს, ასევე, უცხოურ მედია

საშუალებებს და უცხოურ საიტებს. აღსანიშნავია რომ, ენის ბარიერის არარსებობის გამო, მათთვის უფრო კომფორტულია უცხოური წყაროებიდან მიიღონ ახალი ინფორმაცია რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ. მათ აქვთ ინფორმაცია რუსეთის ხელისუფლების მიერ დაქირავებული ტროლ-ბოტების შესახებ, რომლებსაც რუსეთი საინფორმაციო ომში იყენებს და რუსულ ნარატივებს მათი საშუალებით ავრცელებს.

რაც შეეხება ობიექტურ საინფორმაციო საშუალებებს, რესპონდენტები ერთხმად ასახელებ ქართულ და უცხოურ წყაროებს, მათ მიმართ იჩენენ მეტ ნდობას და თვლიან, რომ ობიექტურ ინფორმაციას იღებენ აღნიშნული წყაროებიდან. გამოკითხულთა ყველა ასაკობრივ ჯგუფში, არასანდო და დეზინფორმაციის გამტარებელ საინფორმაციო წყაროებად ასახელებენ რუსულ საინფორმაციო საშუალებებს, თვლიან რომ რუსული მედია როგორც ინტერნეტ სივრცეში, ასევე სატელევიზიო არხების საშუალებით ავრცელებს სიყალბეს, რათა ზეგავლენა მოახდინოს როგორც საკუთარ მოსახლეობაზე, ასევე საერთაშორისო საზოგადოების თვალში საკუთარი ძლევამოსილება დაადასტურონ.

საერთო ჯამში, კვლევის შედეგები დაემთხვა საყოველთაოდ აღიარებულ აზრს საინფორმაციო ომის მიზნების და საშუალებების შესახებ. რესპონდენტების უმრავლესმა ნაწილმა, დაადასტურა საკუთარი ცოდნა ამ მიმართულებით, ასევე მკაფიოდ და არგუმენტირებულად გამოხატა ყალბი ინფორმაციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და აუცილებელი საჭიროება ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით.

Annotation

The Master's Thesis is about information warfare: an analysis of communication strategies in the Russia-Ukraine war.

The aim of the research is to study the attitude of different groups regarding the reliability of the information disseminated by the news media during the Russia-Ukraine war.

Relevant scientific sources, literary analysis are used in the work to collect data and study the issue in depth around the research topic. Qualitative research method was chosen as the research method. In particular - focus groups. The participants in the study were selected by targeted sampling, namely women and men over 60 years old living in Tbilisi, as well as students with an active status in Tbilisi's higher education institutions.

As a result of the research, the following main findings were revealed: all the interviewed respondents are informed about the Russian-Ukrainian war, and all of them have information about the media where they can get new information about the Russian-Ukrainian war. According to the results of the research, respondents over 60, both women and men, name television as the main means of information, mainly Georgian media. However, most of them also have access to social networks, namely Facebook, where they get news at the same time as television. An interesting finding was revealed in the survey of men over 60 years old, some of them use print media as a means of information. As for the surveyed students, the majority of them use social networks, as well as foreign media and foreign websites, to get information. It should be noted that, due to the absence of a language barrier, it is more comfortable for them to receive new information about the Russia-Ukraine war from foreign sources. They have information about troll-bots hired by the Russian government, which Russia uses in information warfare and spreads Russian narratives through them.

As for the objective information media, the respondents unanimously name Georgian and foreign sources, they show more trust in them and believe that they get objective information from the mentioned sources. In all age groups of the interviewees, Russian news media are named as unreliable and disinformation sources, they believe that the Russian media spreads fake news both on the Internet and through TV channels in order to influence their own population, as well as to confirm their power in the eyes of the international community.

Overall, the results of the study were consistent with the generally accepted opinion about the goals and means of information warfare. The majority of the respondents confirmed their knowledge in this direction, and also clearly and argumentatively expressed their negative attitude towards fake information and the necessary need to receive objective and accurate information.